დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტებს.
2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

იურიდიულიი განყოფილების უფროსი: **ბექა შენგელია**